სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) სკოპინგის ფაზის პროცედურები გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის (გშკ) მიხედვით და მათი ასახვა საპილოტე სგშ პროცესში

სკოპინგის ფორმალური ფაზა	განხორციელდა სგშ საპილოტე პროექტში?	მიღებული გამოცდილება/პრაქტიკაში გასათვალისწინებელი საკითხები (როდესაც გშკ შევა ძალაში)
1. დამგეგმავი ორგანო: ▪ მიმართავს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის (სგბრდს) და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის (სშჯსდს) სამინისტროებს სკოპინგის დასკვნისათვის; ▪ აცნობებს საზოგადოებას განაცხადის შესახებ	ოფიციალური განაცხადი არ გაკეთებულა	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახური) წარმოადგენს დამგეგმავ ორგანოს გშკ-ის თვალსაზრისით. მომავალში, მსგავს შემთხვევაში საჭირო იქნება ფორმალური განაცხადის მომზადება და გშკ-ში მითითებულ ორივე სამინისტროში წარდგენა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრუქტურა იმავე უწყების ნაწილია.
2. სგბრდს და სშჯსდს აქვეყნებენ განაცხადს და თანდართულ დოკუმენტებს მათ ვებ გვერდებზე	განაცხადი ვებ გვერდებზე არ გამოქვეყნებულა	უნდა შემუშავდეს ერთობლივი პროცედურა შესაბამისი დოკუმენტების გამოქვეყნებისათვის. უნდა შეიქმნას შესაფერისი ტექნიკური ინფრასტრუქტურა (ინტერნეტ გვერდის სექცია) და მოხდეს მისი ადმინისტრირების დელეგირება შესაბამისი სტრუქტურისათვის.
3. სგბრდს ქმნის საექსპერტო კომისიას	არ განხორციელებულა	ექსპერტების ჩართვის შესაძლებლობები (მაგ. ექსპერტთა სია) უნდა იყოს მომზადებული, რაც უზრუნველყოფს შეზღუდულ ვადებში ექსპერტთა მობილიზაციას. უნდა ჩამოყალიბდეს ექსპერტთა მობილიზაციის ადეკვატური მექანიზმი, რომელიც დააკმაყოფილებს გშკ-ით განსაზღვრულ საჭიროებებს.
4. დამგეგმავი ორგანო უზრუნველყოფს სკოპინგის საჯარო განხილვის მოწყობას	საჯარო კონსულტაცია გაიმართა 2015 წლის 22 სექტემბერს. შეხვედრას ესწრებოდნენ შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლები, მათ შორის სშჯსდს, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები	პოტენციურმა დამგეგმავმა უწყებებმა (სამინისტორები და სხვა) უნდა გაითვალისწინონ რესურსების დროული გამოყენება (პირდაპირი ხარჯები, პერსონალი) რათა მთლიანად შეასრულონ მათი პასუხისმგებლობა. მაშინ, როცა შინაარსი შეიძლება მომზადდეს სგშ-ის ექსპერტებისა და დამგეგმავების მიერ, საორგანიზაციო და სხვა საკითხები უნდა განხორციელდეს პასუხისმგებელი უწყებების მიერ (მაგ. სამინისტრო) თუ ეს არ არის კონტრაქტით გადაცემული გარე უწყებაზე.

სკოპინგის ფორმალური ფაზა	განხორციელდა სგშ საპილოტე პროექტში?	მიღებული გამოცდილება/პრაქტიკაში გასათვალისწინებელი საკითხები (როდესაც გშკ შევა ძალაში)
5. სგბრდს, სშჯსდს და დამგეგმავი ორგანო ავრცელებენ ინფორმაციას საჯარო განხილვის ადგილისა და დროის შესახებ	ნაწილობრივ განხორციელდა	უნდა შემუშავდეს ერთობლივი პროცედურა შესაბამისი დოკუმენტების გამოქვეყნებისათვის. უნდა შეიქმნას შესაფერისი ტექნიკური ინფრასტრუქტურა (ინტერნეტ გვერდის სპეციალური სექცია) და მოხდეს მისი ადმინისტრირების დელეგირება შესაბამისი სტრუქტურისათვის.
6. საექსპერტო კომისია ამზადებს დასკვნას სკოპინგის ანგარიშზე	არ განხორციელებულა	იხილეთ ნაწილი 3.
7. დამგეგმავი ორგანო ამზადებს საჯარო განხილვის ოქმს და წარუდგენს სგბრდს-ს და სშჯსდს-ს	ნაწილობრივ განხორციელდა	საჯარო განხილვის ანგარიში სისტემატურად უნდა ინახებოდეს (პასუხისმგებლობა შეიძლება გადაეცეს სგშ-ის გუნდს) და მიღებული კომენტარები უნდა დაერთოს სგშ-ის დოკუმენტაციას. თუმცა, გშკ მოითხოვს, რომ ცალკე მომზადდეს და წარდგენილ იქნას ოფიციალური ოქმი.
8. სგბრდს და სშჯსდს გამოსცემენ სკოპინგის დასკვნას	არ განხორციელებულა	უნდა შემუშავდეს მექანიზმი ერთობლივი პოზიციის მომზადებისათვის
9. სგბრდს და სშჯსდს უგზავნის სკოპინგის დასკვნას დამგეგმავ ორგანოს	არ განხორციელებულა	
10. სგბრდს, სშჯსდს და დამგეგმავი ორგანო აქვეყნებენ სკოპინგის დასკვნას მათ ოფიციალურ ვებ გვერდებზე	არ განხორციელებულა	იხ. ნაწილი 5